პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 (18545) ოთხშაბათი, 5 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1982 წლის 18 დეკემბერს ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებით ქვეყანაში გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა, რომელიც გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის მკაფიო დღესასწაულად. კომუნისტურმა შაბათობამ ჩაიარა ორგანიზებულად, აღინიშნა მაღალნაყოფიერი, ხარისხიანი მუშაობით, დიდი სახალხო-სამეურნეო შედეგები მოიტანა. წინასწარი მონაცემებით, შაბათობაში მონაწილეობდა დაახლოებით 148 მილიონი კაცი, გამოშვებულია 845 მილიონ მანეთზე მეტი საბრუნველო პროდუქცია, მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება დაახლოებით 162 მილიონი მანეთი.

კომუნისტური შაბათობა ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გახდა. ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მშრომელებმა დამკვრელური თავდადებული შრომით კვლავ ცხადყვეს, რომ ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს 1982 წლის დაჟალებების, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნიან მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ახალგაზრდობას, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში, მათი თავდადებული და უსასყიდლო შრომისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მშრომელთა მიერ გამოთქმული სურვილების გათვალისწინებით მიიღეს გადაწყვეტილება შაბათობაზე გამომუშავებული სახსრები გადასცენ მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის განკარგულებაში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი

4 იანვარს პრაღაში მუშაობა დაიწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირმა. თათბირში მონაწილეობენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, დელეგაციის მეთაური; ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფილიპოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სახალხო თავდაცვის მინისტრი დ. ჟუროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ტანაშევი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, დელეგაციის მეთაური; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჰ. ჰოფმანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, დელეგაციის მეთაური; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. იარუზელსკი, დელეგაციის მეთაური; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ბარციკოვსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, პოლონეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსი ფ. სივიცკი;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, დელეგაციის მეთაური; რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, მთავრობის პრემიერ-მინისტრი კ. დასკალესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. დობრესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი კ. ოლტეანუ;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, დელეგაციის მეთაური; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, დელეგაციის მეთაური; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ვარკონი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, თავდაცვის მინისტრი ლ. ცენეგე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუია;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, დელეგაციის მეთაური; ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. იაკეში, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ჟ�, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ბნოუპეკი;

ალბანეთის სოციალისტური სახალხო რესპუბლიკისაგან — ალბანეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ნიანგი, ალბანეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბეჰარი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ბ. ბალი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. �ა.

ალბანეთის ტერიტორიაზე მთავრდება ტორფის საბადოების დეტალური ძიება. საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი ამუშავებს ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში 200-250 ჰექტარი ირიგაციანი მიწების ამოშრობის პროექტს. მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე აჭარაში აიგება 7 ჩიის მეჯოფაბრიკა. პასპორტები და სხვა დოკუმენტაცია გადაეცა საქართველოს სსრ სახსპეცტრანსს ბორჯომის, ორჯონიკიძის, დუშეთის, ონისა და ლენტეხის რაიონების სავარგულებისაკენ საჰაერო ბაგირგზების ასაგებად. დამატებით მასვე გადაეცემა მასალები ანალოგიური გზების მშენებლობისათვის ამბროლაურის, გორის, ქარელის, ხაშურის, ჯავის რაიონებში. შენდება და წელს ჩადგება მწყობრში ლენტეხის რაიონის სათიბებისა და საძოვრების 27 კილომეტრი მისასვლელი გზები...

ეს და სხვა ფაქტები, რომლებიც მოწმობს, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესუთე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, მოიყვანეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია ამ საკითხზე და ცნობად მიიღეს იგი.

საშემსრულებლო დისციპლინის საკითხები აღძრა პრეზიდიუმმა აგრეთვე იმის განხილვის დროს, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო და პროფკავშირული ორგანიზაციები მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამის განხორციელებისათვის. აღინიშნა ამ მიმართულებით მათ მიერ გაწეული დიდი მუშაობა, რასაც, კერძოდ, შემდეგი ფაქტები ადასტურებს: უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, უზრუნველყოფდნენ რა საექსპლოატაციოდ ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დროულ გადაცემას, მათ იზრუნეს 20 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. აგებულია კულტურის სახლი, სკოლა, მასწავლებელთა დასასვენებელი სახლი, საბავშვო ბაგა-ბაღი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. შენდება ბაგირგზა, ქალაქის საავადმყოფო, პროფტექნიკური სასწავლებელი. „შეეინარჩუნოთ მთელი ჭირნახული!“ — საქართველოთა ამ თაოსნობის პასუხად სასოფლო, საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შექმნეს დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებმაც თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მოსავლის აღება, მისი გადაზიდვა და შენახვა.

ამასთან აღინიშნა სეზონიული ნაკლოვანებანი საქალაქო, აგრეთვე სასოფლო საბჭოების საქმიანობაში სოციალური პროგრამის განხორციელებისათვის. მაგალითად, ჯერჯერობით არ იყენებენ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს, რათა გააუმჯობესონ ტყიბულის მაღაროელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, განამტკიცონ დისციპლინა, შეამცირონ დენადობა და გააუმჯობესონ კადრების თვისებრივი შემადგენლობა, აღმოფხვრან ხარვეზები მოსახლეობის სამედიცინო და კულტურულ მომსახურებაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობაში.

მიღებულ დადგენილებაში ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთმოქმედება პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ყველა დონეზე; უფრო ფართოდ ჩაბას პროფკავშირული აქტივი სესიების, აღმასკომების სხდომების მომზადებაში, მუდმივი კომისიების, დეპუტატების ჯგუფების, საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობაში.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები, თითოეულ მათგანზე მიღებულია დადგენილება. დამტკიცებულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის 1983 წლის გეგმები. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

პასუხსაგები ხანა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცხოვრებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 1982 წლის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობის საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივ მეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში. ამაღლდა პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებისას, რომლებიც განიხილება შრომითი კოლექტივების კრებებზე.

ამასთან რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები საკმაოდ უნარიანად ვერ წარმართავენ ადგილებზე მუშაობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ეფექტიანად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სარწყავ წყალს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, წარმოების სხვა ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, რის შედეგადაც პროდუქციის გამოშვება არ იზრდება.

ადგილობრივი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები უხეშად არღვევენ მოქმედ რეკომენდაციებს და დაქირავებულ პირებს შესრულებულ სამუშაოებში ისეთი ოდენობით უხდიან ფულს, რომელიც ორჯერ აღემატება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას.

სარევიზიო კომისიები, რომლებიც მთავარ როლს უნდა ასრულებდნენ საზოგადოებრივი სასურსათო ბრძოლაში, დატაცებისა, დანაკლისისა და სხვა დარღვევების ფაქტების გამოვლენაში, ფაქტობრივად ვერ ორმოვენ თავს თავიანთ მოვალეობებს. ისინი ხშირად არ სწავლობენ, არ ანალიზებენ და არ იხილავენ არსებულ ნაკლოვანებებს კოლმეურნეთა სიარეთ კრებებზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებენ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებაში მინიჭებულ უფლებებს და ვერ აღწევენ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მთლიან აღმოფხვრას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონსაბჭოებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, რეზერვების გამოყენებაში, პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებაში, შრომის, ფინანსური, საგეგმო, საწარმო დისციპლინის განმტკიცებაში, საზოგადოებრივი მეურნეობების მართვაში მასების აქტიურობის ამაღლებასა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფაში; გაგზავნონ კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციებს გამოცდილი სპეციალისტები ინვენტარიზაციის შედეგების დროულ განხილვაში, დებიტორულ დავალიანების ლიკვიდაციისა და გამოვლენილი დანაკლისის ანაზღაურებაში, აგრეთვე წლიური ანგარიშების შედგენაში დახმარების გასაწევად.

1983 წლის 1 თებერვლამდე უნდა დამთავრდეს კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ წლიური ანგარიშების შედგენა, ხოლო 10 თებერვლამდე — საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მათი განხილვა.

წლიურ ანგარიშებს მთავარი სპეციალისტების მონაწილეობით წინასწარ განიხილავენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების აპარატებში.

კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) კოლექტივების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საახელმწიფო მეურნეობების მუშამოსამსახურეთა კრებების შედეგები, აგრეთვე ამ კრებებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა 1983 წლის 15 აპრილამდე მეურნეობებისა და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობით განიხილონ ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მუშაობის შედეგები; 1983 წლის 10 აპრილამდე დაამთავრონ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მათი განხილვა.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წინასწარ განიხილონ მეურნეობების 1982 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, უზრუნველყონ კომუნისტების აქტიური მონაწილეობა მეურნეობების მუშაობის შედეგების ხელშეკრებისა და განხილვის კამპანიაში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს წინადადება მიეცათ მოაწყონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისა და კვალიფიციური სპეციალისტების, გამოსცენ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და კრებებზე მათი განხილვის საკითხებზე.

კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) კოლექტივებმა, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებში მონაწილეობის მისაღებად ადგილებზე გაიგზავნებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

(საქინფორმი).

საბჭოთა დელეგაცია პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის დარბაზში.

საკლეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა პრაღაში

პრაღა, 3 იანვარი. (საკლესი). დღეს პრაღაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ თათბირში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. იაკეში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ბნოუპეკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი მ. ძური, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ა. პ. ბოტვინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები საქართველოს სსრ № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქში კვირას, 1983 წლის 6 თებერვალს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 3 იანვარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ № 670 სამტრედიის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები საქართველოს სსრ № 670 სამტრედიის საარჩევნო ოლქში კვირას, 1983 წლის 6 თებერვალს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 3 იანვარი.

განვამტკიცოთ სამეცნიერო-ლი დისციპლინა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ᲤᲐᲠᲛᲐᲢᲔᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲨᲐᲛᲗᲠᲝᲗ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ

1982 ᲬᲚᲘᲡ შემოდგომა ნაადრევი იყო. ჩვეულებრივზე ადრე აცივდა, ბევრ რაიონში მოთოვა. ამასთან დაკავშირებით ჩვეულებრივზე ადრე გადაიყვანეს ბაგურ მოგლა-შენახვაზე საზოგადოებრივი მეურნეობათა პირუტყვი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა გამოზამთრების ადრე დაწყებას მომზადებული შეხვდა. მათ დროულად იზრუნეს საკვების მარაგის დამზადების, ფერმების რემონტისათვის. სწორედ ასეა დაყენებული საქმე ლანჩხუთის, ზუგდიდისა და ქარელის რაიონების, ჩიბათის მეცხოველეობის კომბინატში, კახეთის მეცხოველეობის ფერმაში და ბრეთის მეხბოლეობის მეურნეობაში. კარგად არის მოწყობილი მოზარდეულის ინტენსიური გამოკვება ბოგდანოვკის, გარდაბნის, გურჯაანის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ეს ითქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, სადაც განიხილეს გამოზამთრებისათვის მეცხოველეობის ფერმების, კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები. აღინიშნა, რომ დათვალიერების დროს გამოვლინდა ბევრი სერიოზული ნაკლი პირუტყვის ბაგურ კვებაზე გადაყვანისათვის მზადებაში. მესტიის, წალკის, დუშეთის, თიანეთის, ახალქალაქის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში საჭირო რაოდენობის ნახევარზე ცოტა მეტი საკვებია დამზადებული. ეს იწვევს იმას, რომ 1982 წლის პირველი დეკემბრისათვის, მაგალითად, მესტიელებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა მხოლოდ 82 პროცენტით, ახალქალაქელებმა — 68, დუშეელებმა — 58 პროცენტით შეასრულეს. მნიშვნელოვნად შემცირდა რძის წარმოება წალკის რაიონში. რძის წარმოების საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ თიანეთის, ლაგოდეხის, ახმეტის რაიონების მეურნეობანი, წინა წლთან შედარებით სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში ჩამორჩენიან ახალციხის, ასპინძის, ხაშურის, გორის, ყაზბეგისა და სხვა რაიონები.

შეშფოთებას იწვევს ზოგიერთი ფერმის მდგომარეობა. მესტიის, წითელწყაროს რაიონებში შეცვლილი არ არის ზოგიერთი ფერმა, დათბუნებული არ არის მოზარდეულისათვის განკუთვნილი სადგომები. წალკის რაიონის თრიალეთის საბჭოთა მეურნეობის ახალი ფერმის სახურავი წყალი ჟონავს.

კოლეგიამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს მოსთხოვა უმოკლეს დროში აღმოფხვრან დათვალიერების დროს პირუტყვის გამოზამთრების საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მისი წარმატებით ჩატარება. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მეცხოველეობის ფერმების, კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (საქინფორმი).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ

ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ ᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲐ

ᲔᲖ თვალწარმტაცი ხეობის მდინარე — ერთი საუკუნე მანგანუმის ნარეცხი შლამით გამუქებული მოედინებოდა. მანგანუმის შლამი მიაყვებოდა დიოეგას შავი ზღვის აუზამდე, როლის სისუფთავის დაცვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ მანგანუმის ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკიდან ყოველ საათში მდინარეში ჩაედინებოდა 6.000 კუბური მეტრი წყალი, რომლის თითოეულ ლიტრში მყარის შემცველობა 20.000 ძილიგრამს შეადგენდა.

ეს მანგანუმის ის უძვირფასესი კონცენტრატია, რომელსაც მდინარე, საერთო ანგარიშით, ათიათასობით ტონას გეტაცებდა. ამ დანაკარგების დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად განხორციელდა საკმაოდ დიდი მოცულობის საძიებო მუშაობები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის სპეციალისტებმა ქვეყნის კვლევითს ინსტიტუტებთან ერთად ბოლო ათწლეულში ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი რამ გააკეთეს.

ყვირილა აღარ არის შავი, ხოლო მანგანუმის გამდიდრების შედეგად მიღებული ნარჩენები ეგრეთ წოდებული „კუდები“, ღურღუმელას ხელოვნურ საცავში მექანიკურად ილექება. მალე მადნის მამდიდრებელები, ამ „კუდების“ წარმოებაში გამოყენების ტექნოლოგიასაც შეიმუშავებენ და ხელს შეუწყობენ მდინარის მთლიან გასუფთავებას, მანგანუმის კონცენტრატის დანაკარგების სრულ ლიკვიდაციას.

ზემოხსენებული პრობლემების გადაწყვეტას უდიდესი სინდისეები ახლდა. თუმცა სირთულეები ახლაც უამრავია. ამ საკითხებთან დაკავშირებით განმარტება მოგვცა „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ა. ხობუამ.

— მანგანუმის საბადოს ექსპლოატაცია, — გვითხრა მან, — მისი განვითარების ყველა ეტაპზე დაკავშირებული იყო მადნის ნარჩენების შენახვისა და მათი მდინარე ყვირილაში ჩაშვების აკრძალვის პრობლემებთან. ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნებმა, პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელმა ზრუნვამ ბუნების დაცვისათვის, საწარმოო რეზერვების გამოვლენისათვის შესაძლებელი გახადა რელიეფის ურთულეს პირობებში „კუდების“ შესანახი უნიკალური მეურნეობის აშენება. და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა. უნდა ითქვას, რომ ამ ობიექტის ამოქმედებასთან დაკავშირებული ზემი პირველად ცოტა ნაადრევი გამოდგა. საქმე ის არის, რომ პროექტით გათვალისწინებული მაღალი წნევისა და მწარმოებლობის ტუმბოები დაბალი ცვეთამედეგობის გამო ვერ გამოგვადგა. ისინი მუშაობის დაწყებისთანავე გამოვიდეხენ მწყობრიდან.

ასეთი მდგომარეობა პრინციპულად შეიფასეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომისიამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შეცდომების გამოსასწორებლად დასახულმა ღონისძიებებმა, საბართლიანმა მოთხოვნებმა, შექმნილი სიტუაციის სწორმა შეფასებამ ხელი შეუწყო მეცნიერთა და სპეციალისტთა მუშაობის ამ სიმართულებით წარმართვას.

ძიების შემდეგ, რომელსაც თითქმის წელიწად-ნახევარი დასჭირდა, გამოინახა პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის ვარიანტი. იგი ითვალისწინებს ჰიდროტრანსპორტის მუშაობას შეწყვეტილები მიწასაწოი ტუმბოების საშუალებით და გადასატუმბი „კუდების“ მოცულობის შემცირებას სპეციალური რეაქტივების გამოყენებით. რეაქტივების საშუალებით „კუდები“ გაიყო ორ თვისებრივად განსხვავებულ ნაწილად, რაც პირვანდელი პროექტით გათვალისწინებული ტუმბოების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ერთულესი რელიეფის პირობებში, ციცაბო აღმართზე შრომობდნენ „ჭიათურმანგანუმმშენის“ ტრესტის, „ცენტრმეტალურგრემონტის“ ტრესტიფონის სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ჭიათურის უბნის, „საქშასტმაღაროთმშენის“, ძექანიზაციის სამმართველოების ძექანიზატორები, მემონტაჟეები. თავდადებული შრომის შედეგად უმოკლეს დროში დამთავრდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკიდან ყვირილაში ჩამდინარე შლამმა მიმართულება იცვალა. დიდი დიამეტრის მილების საშუალებით იგი ახლა გროდბა ღურღუმელას ხეობაში მოწყობილ ხელოვნურ საცავში, რომელიც ტბედობა ითმილიონობით კუბური მეტრია.

შლამსაცავის ვრცელ ფართობზე დაგროვილი მასის შესაბამისად გარკვეულ სიმაღლეებზე მოწყობილია მექანიკურად გაწმენდილი წყლის გამტარი მიმდები ქედები, რომლებიც ეურთდება საკმაოდ დიდ მიწისკენაგენა გეირაბს და ხეობაში ჩაედინება.

ახდა წინა თაობების ოცნება— შავმა ყვირილამ ფერი იცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

— შლამსაცავი მეურნეობა უკვე მოქმედებს, — თქვა საუბარში პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ხოფერიამ, — ხორციელდება „კუდების“ მოლიანად და სტაბილურად გადატუმბვა მათი მექანიკური გაწმენდის მიზნით. ეს მხოლოდ პირველი რიგის ობიექტია, მისი მშენებლობის დამთავრებისათვის კვლავ საკმაოდ დიდი მასშტაბის სამუშაოებია შესასრულებელი.

როგორც უკვე ითქვა, ეს მხოლოდ პირველი რიგის ობიექტია და აქ წყლის მექანიკური გაწმენდა ხდება. მყარი მინარევების შემცველობა კვლავ რჩება ლიტრში 80-100 მილიგრამამდე. მართალია, ეს დასაშვებია მექანიკური გასუფთავების შესაძლებლობის ზღვრებში, მაგრამ მდინარის აუზის სრული გასუფთავება კვლავ მომავლის საქმედ რჩება.

„კუდების“ მეურნეობის ექსპლოატაციის თანამედროვე ეტაპზე აღარ არის საქმირო ძვირად ღირებული ქიმიური საწმენდი ნაგებობა და კონკრეტულ შემთხვევაშიც ნავარაუდევია მექანიკური გამწმენდის შედეგად მიღებული წყალის ხელმეორედ გამოყენება. ამ მიზნით უნდა აშენდეს ობიექტის მეორე რიგი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მდინარე ყვირილის აუზის სრული ქიმიური გასუფთავება.

Ო. ᲜᲘᲥᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲗᲐᲗ. ᲙᲝᲠᲗ.

გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში დღეს ჰყავთ 8.600 სული მსხვილფეხა საქონელი, 8.600 სული ცხვარი და 1.400 სული ღორი.

შარშანწინ მეძროხეობის კომპლექსში ყოველ 100 ფურზე 95 ხბო შეინარჩუნეს. მეღორეობის ფერმაში ყოველ ნესტზე 12-14 გოჯი გაზარდეს.

რძის საერთო წარმოება 1983 ტონიდან 3.600 ტონამდე გაიზარდა. ხუთწლედის მეორე წელს 3.700 ტონა რძე მოწველეს. ეხე იგი თუ აღრე თითოეულ ფურზე 1974 კილოგრამ რძეს იღებდნენ, დღეს 2.700 კილოგრამს წველიან. მკვეთრად გაიზარდა აგრეთვე ხორცისა და მატყლის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

ეკონომიკური შედეგი: სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსმა სულ სამოდე წლის წინათ 860 ათასი მანეთი იზარალა. პირველად 1980 წელს გახდა მეურნეობა მომგებიანი და ზედიზედ აგერ უკვე მესამე წელი დაამთავრეს მოგებით.

ერთი საყურადღებო პროცენტი: ჩვენს ქვეყანაში მერძევეობის კომპლექსების მხოლოდ 8,6 პროცენტია მომგებიანი. თურმე დანარჩენი კომპლექსები წამგებიანი ყოფილა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი იმის დასტურად გამოგვადგება, რომ სართიჭალელი მეცხოველეები კარგად შრომობენ.

ᲡᲐᲠᲗᲘᲭᲐᲚᲣᲠᲘ „ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ“

— როგორ აღწევთ კარგ სამეურნეო მაჩვენებლებს? — ვკითხეთ გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის თავკაცებს. გაიმართა ვრცელი საუბარი, რამაც სართიჭალელთა წარმატების გზაზე სამი ძირითადი მომენტი წარმოაჩინა:

1. ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ.

2. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲯᲘᲜᲗᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

3. ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐ.

რა თქმა უნდა, ეს სამი მომენტი ყველა მეცხოველისათვის ერთობ ნაცნობი პირობაა, მაგრამ აქ საინტერესოა ამ საკითხებადმი სართიჭალელი მეცხოველეების პრაქტიკული მიდგომა, რაც სხვებისთვისაც მშვენიერ გამოცდილებად გამოდგება.

სამივე საკითხზე გვესაუბრება და გამოცდილებას გვიზიარებს სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის დირექტორი პ. ᲩᲝᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

I.

მეცხოველეობის განვითარების საფუძველია საფუძველი მიწათმოქმედების კულტურის სრულყოფაა. მეურნეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სრულფასოვანი ყუთთიანი საკუთარი წარმოების საკვები. ამის მიღწევა კი მთლიანად მიწათმოქმედებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამის გათვალისწინებით დაიწყეს მეურნეობის მშრომელებმა მეცხოველეობის განვითარებისათვის ზრუნვა.

წინათ ჩვენი მეურნეობა მხოლოდ სანახეგროდ იყო უზრუნველყოფილი საკუთარი წარმოების საკვები ბაზით. იგი უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აწარმოებს იმდენ უხეშ და წვნიან საკვებს, რამდენიც მთლიანად უზრუნველყოფს მეურნეობის მოთხოვნებს. ამასთანავე მოსახლეობასაც დიდძალ საკვებს ვაძლევთ პირადი მეურნეობებისათვის.

როგორ გადაწყვეტეთ საკვების პრობლემა? მრავალწლოვანი ბალახების ნათესი ფართობების ზრდით, მისი მოსავლიანობის ამაღლებით. ამჟამად მეურნეობას 500 ჰექტარზე უთესია იონჯა, რაც საშუალებას გვაძლევს მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ ძვირფასი ბალახით კვებოთ საქონელი. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ იონჯის მწვანე მასით ფურების კვების დროს სადღეღამისო წონამატება 2-3 კილოგრამით მეტია, სხვა ნებისმიერი საკვების გამოყენებასთან შედარებით. ამიტომ მეურნეობის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მთავარი სადღეისო ამოცანაა იონჯის ნათესი ფართობების მნიშვნელოვანი გადიდება. გასათვალისწინებელია, რომ იონჯა მაშინ იძლევა სასურველ ეფექტს, თუ ეს ბალახი სარწყავი გვეთესია. ამიტომ მალე კიდევ გვექნება 500-ჰექტარიანი ფართობი, სადაც იონჯას დათესავთ. აქ მოეწყო დაწვიმებითი გასარწყავება. ეს კი საშუალებას მოგვცემს ერთის მაგიერ წელიწადში 3-4 მოსავალი მივიღოთ, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენს მეწველ პირუტყვს მთელი ზაფხულის განმავლობაში. თითოეული ფური კი 200-300 კილოგრამით მეტ რძეს მოგვცემს. დიდ ყურადღებას ვუთმობთ აგრეთვე საკვები ძირხვენების მოყვანას. ამ საკითხის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს ზამთრის პირობებშიც შევინარჩუნოთ კარგი წველადობა.

ჩვენთან საკვები კულტურების წარმოების დიდი რეზერვია სხვადასხვა ერთწლოვანი ბალახების შერევით თესვა. შვრია ბალახთან შეთესვითი, ბარდა სუდანურის ბალახთან ერთად, მზესუმზრისა და სიმინდის ნათესი. კარგი რეზერვია აგრეთვე სანაწვერალო და შუალედური კულტურების თესვა. შარშან ამ გზით მეურნეობამ 5 ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა მიიღო და 500 ტონაზე მეტი თივა.

ნარევების თესვით მეურნეობამ შარშან მწვანე მასის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 250-300 ცენტნერამდე გაზარდა. ნაწვერალზე ხორბლის სათესელებით (მწკრივთა გამოკლებით) 20 ჰექტარზე დავთესეთ სიმინდი. მართალია, თესლი ორმაგად დაიხარჯა, მაგრამ სამაგიეროდ მოსავალი ოთხმაგად გაიზარდა და თითოეულ ჰექტარზე 400 ცენტნერი მასა მივიღეთ.

ამავე მეთოდით დათესილი მზესუმზირას მასის მოსავალმა ჰექტარზე 300 ცენტნერს გადააჭარბა.

რა თქმა უნდა, მიწათმოქმედების კულტურა გულისხმობს ხარისხოვან თესლს, სასუქების დროულად შეტანას, ნიადაგის გაფხვიერებას, დროულად თესვას, დატკეპნას, რწყვას, გამოკვებას, მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებას. თუ ამ პრინციპს არ ვუღალატებთ, ყოველთვის, კარგ მოსავალს მივიღებთ. მოსავლიანობის ზრდის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ჭკვიანური დანერგვა და გამოყენება. ზოგჯერ კი ცხოვრება მოგვთხოვს და ბევრი რამ ჩვენთან უნდა გავაკეთოთ, დავნერგოთ. ჩვენი ხელით გავაკეთეთ მარტივი, მაგრამ ძალიან პრაქტიკული ნიადაგის მოსაშანდაკებელი მექანიზმი: ავიღეთ 300-მილიმეტრიანი დიამეტრის მილი და სიგრძეზე გავჭერით. მივიღეთ 2 ღარი, რომელსაც ორთავე მხარეს გავუკეთეთ კბილანები. გამოვბით ეს ღარი მძლავრ ტრაქტორს ორ ცალად, ამის შემდეგ ჩავუბით კბილებიანი ფარცხი. ერთ გავლაზე ნიადაგს ვასწორებთ, ვიფხვიერებთ და ვამზადებთ დასათესად. იმასაც ვიტყვი, რომ ეს ჩვენეული მექანიზმი ერთდროულ საქმეს 8 მეტრის სიგანეზე აკეთებს.

II.

პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გადახალისება-გაუმჯობესებას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. ვიცით, რომ სხვანაირად წარმატებები ვერ გვექნება. ამიტომ ვზრუნავთ სარემონტო სულადობის გამოზრდაზე, რაც თვალსაწინოებს საჯიშე ბბორების ცალკე მოვლა-პატრონობას.

კომპლექსის სანონლის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით შარშან პირველად მთელ მეურნეობაში 1 აგვისტოდან დავიწყეთ ფურების ხელოვნური დათესვა, ამერიკული გოლშტინოფრიზული მაღალპროდუქტიული კურების ღრმად გაყინული სპერმით. რის შედეგადაც უახლოეს 4-5 წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზრდება ფურების პროდუქტიულობა, ხოლო მესამე თაობაზე მივიღებთ ხალას ჯიშს, რომელიც წელიწადში მოგვცემს 4.500-5.000 კილოგრამ რძეს. ეს ძალიან დიდი ნახტომი და ერთობ კარგი საქმე იქნება. თუ გავიხსენებთ, რომ დღეს ჩვენს მიღწევად ითვლება თითოეულ ფურზე მიღებული 2700 კილოგრამი რძე.

III.

რესპუბლიკაში ჩვენ პირველებმა გადმოვიღეთ ლვოვის ოლქის მეცხოველეთა მოწინავე გამოცდილება: რძის წარმოების ნაადრესაამქროული მეთოდი (ამ მეთოდის არსი ის არის, რომ ფურები დაჯგუფებული არიან ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. მაკე ფურები ცალკე არიან, ახალმოგებული და მოგებიდან სამ თვეს გადაცილებული ფურები — ცალ-ცალკე).

ლვოველთა მეთოდის დანერგვის შედეგად ფურის საშუალო წველადობა 600 კილოგრამით გაიზარდა. ეს მოგვცა პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და კვების ტექნოლოგიის სრულყოფამ. საგულისხმოა, რომ ჩვენს კომპლექსში ლვოველთა მეთოდი განვითარდა, უფრო დაიხვეწა, ამის შედეგად იზრდება რძის წარმოება. შარშანწინდელ პერიოდთან შედარებით შარშან ფურის საშუალო წველადობა 120 კილოგრამით მეტი იყო.

ცალკეულ მეცხოველეთა გამოცდილების დახვეწამ, ადგილობრივ პირობებთან შეხამებამ მეურნეობა-კომპლექსს საშუალება მისცა შარშანწინ ყოველ 100 ფურზე მიეღო და შეეინარჩუნებინა 95 ხბო. შარშან ყოველ 100 ფურზე 100 ხბო მივიღეთ. ლვოვის ოლქის საუკეთესო კომპლექსებში კი 88-92 ხბოზე მეტს ვერ იღებენ.

რა „სასწაული“ მოახდინეს სართიჭალელმა მეცხოველეებმა? საქმე ის გახლავთ, რომ ლვოველთა მეთოდით მუშაობისას ფურები ბევრს მოძრაობენ — ყოველთვის სხვადასხვა მომვლელისა და მწველავების ხელში არიან. ეს კი ცუდად მოქმედებს ფურების პროდუქტიულობაზე. სართიჭალურ მეთოდში კი (ასე მონათლეს ჩვენი მეთოდი) ამგვარი რამ გამორიცხულია, რადგან ფურებს ყოველთვის ერთი და იგივე მომვლელები და მწველავები ჰყავს. თითოეულმა კი კარგად იცის ყოველი ფურის ბუნება, ხასიათი. იცის, რომელ ძროხასთან როგორი მეთოდით იმუშაოს, თანაც ძროხები ერთსა და იგივე გარემოში არიან. ამიტომ ტრესფაქტორი. ანუ უარყოფითად მოქმედი გარემო გამორიცხულია. სართიჭალური მეთოდის გამოყენებით ბევრად უფრო დაზღვეულნი ვართ ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისაგან.

ჩვენეული მეთოდით მთლიანად გამორიცხულია ცურის დაავადება. ლვოვში კი მასტიტით ყოველწლიურად ფურების 25 პროცენტი ავადდება.

ნამატის ზრდის სრულყოფით მეურნეობამ უარი თქვა გარედან სარემონტო დეკეულების შემოყვანაზე. გარდა იმისა, რომ ჩვენეული კარგი ფურები გვყავს, ეს გზა დიდად ეკონომიკურ ეფექტსაც გვაძლევს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სახელმწიფოს იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები და წლიური გეგმა ვადამდე თხუთმეტი დღით ადრე შეასრულა ზესტაფონის სსრ კავშირის სახელობის ქარხანა „საქკაბელის“ კოლექტივმა.

საწარმოს პროდუქცია, რომლის 75 პროცენტი აღნიშნულია ხარისხის სახელმწიფო ნიშნით, ფართო მოთხოვნით სარგებლობს ქვეყნის მრავალ კუთხეში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲘ: საამქროს ტექნოლოგი როსტომ წერეთელი (მარცხნიდან მეორე) და წარმოების მოწინავე მუშაკები: როლანდ ლილუაშვილი, ზურაბ სარდანაძე, ზოია კაპანაძე, ციცო გუნიეკა, რომლებმაც უკვე შეასრულეს 1983 წლის პირველი კვარტალის გეგმა.

3. ᲛᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ სოციალიზმის პირობებში სულ უფრო იზრდება ვაჭრობის სოციალური ფუნქცია, როლი და ფიზიზლეები, ფართოდება მისი შინაარსი და ამოცანები. სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის გამართულ, შეუფერხებელ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობები, მათი ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარებისათვის სათანადო მატერიალური და სულიერი წანამძღვრების შექმნა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთი ქმედითი ღონისძიება განახორციელა ვაჭრობის სფეროში მუშაობის სრულყოფისათვის. ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ, მაგრამ საზოგადოებრივი საქმიანობის ამ დარგში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, ბევრი პრობლემა კვლავ გადაუჭრელია.

სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უცხო ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა და ასრულებს საზოგადოებრივი აზრი, მშრომელთა ფართო მასების პოზიციის, შეხედულებათა გათვალისწინება. საზოგადოებრივი აზრის შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მშრომელთა მატერიალურ თუ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის ვაჭრობაზე, რომლის მუშაობის შემფასებლები არიან მშრომელი მასები, მილიონობით საბჭოთა ადამიანი. როგორც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე აღნიშნა, ყველამ როდი იცის, რა ჩარხსა და დაზგას უშვებს ესა თუ ის ქარხანა, მაგრამ ყველას გულს ტკენს და აღაშფოთებს გამყიდველის უხეშობა ან ატელიეს მუშაკის დაბალი კვალიფიკაცია.

ამისათვის, რომ მიზანდასახულად ხდებოდეს ვაჭრობის შემდგომი განვითარების ამოცანებზე მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, მათი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება, საქართველოს სამმხმარებლო კოოპერაციის სისტემაში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის საბჭო. მშრომელთა შეხედულებების, ფართო მასების პოზიციის გათვალისწინება საშუალებას იძლევა საფუძვლიანად იქნეს განზოგადებული ვაჭრობაში მომხდარი დადებითი ძვრები. ამასთან საზოგადოებრივი აზრი საკანონმდებლო საკითხებს ეხებოდეს. ამ საკითხის ირგვლივ ბევრ ადგილას ეს საბჭო ცოცხალ საქმიანობას ეწევა. ეს ბევრ ადგილას ადასტურებს, რომ ეს ორგანიზაციები ეფექტურ ფორმებს ეძებენ ადგილობრივ ინიციატივებზე,

ფიქრები აღზრდაზე

გამოგაცევლია „ზნანიემ“ ახლახან მოსკოვში გამოცა ქართველი მეცნიერის შალვა ამონაშვილის წიგნი „აყალიბე რა ადამიანს“. რედაქციის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ეს არის მამისა და ნიჭიერი პედაგოგის მოთხრობა ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე. აღზრდის პროცესის რომანტიკაზე, მშობელთა გატაცებაზე, სიხარულსა და ეჭვიანობაზე, რაც აღმზრდელებს ამ გზაზე ელით“. წიგნში ავტორი მოუთხრობს უკვე სრულწლოვან შვილს, როგორ ზრდიდნენ მას, ადამიანის რა იდეალს აყალიბებდნენ მასში. მამის გულახდილი საუბარი შვილთან — ასეა წიგნი დაწერილი. ვთხოვდით ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

გულში აფეთქებული ქუმბარა

ნაწყვეტი ფიგნილან

...შენ სწავლობ მოვლენებს, რომლებიც ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ ჩვენი სამშობლოს, უფრო სწორად, მთელი მსოფლიოს ბედს წყვეტდა. ისტორიის სახელმძღვანელოდან სპეციალურ რვეულში იწერ ქრონოლოგიურ თარიღებს, მოვლენებს, ქალაქების, მარშლების სახელებს. შენ მშვენივრად იცი ეს ყველაფერი. გაკვეთილებზე შენ და შენს ამხანაგებს მასწავლებელი მორიგეობით გიძახებთ და თქვენ უყვებით დასწავლილს, რუკაზე უჩვენებთ მოვლენათა ადგილებს, დაუყოვნებლივ და უშეცდომოდ იხსენებთ თარიღებსა და სახელებს და შეფასებას ელით.

თქვენ უყვებით მასწავლებელს პარაგრაფის შინაარსს თავიდან ბოლომდე, სიტყვასიტყვით, ამ დროს კი ქუჩებში დადიან მოხეცები, რომლებიც თავიანთ შვილიშვილებსა და შვილიშვილიშვილებს საბავშვო ბაღებში მიაცილებენ, ან სკოლებში მიპყავთ და მათი ბებები მიაქვთ, ან ძლივს ეზიდებიან სურსათ-სანოვაგით სავსე ჩანთას შინისაკენ.

ამ სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი წლის ადამიანებს ეშინიათ ხალხმრავალი ქუჩების, ეშინიათ ქუჩაზე გადასვლის, ნელა, ფუჩქარებლად მიდიან.

მაგრამ ესენი ხომ ის ჯარისკაცები არიან, რომლებიც ომს გადაურჩნენ და რომლებიც ისტორიას თვითონ ქმნიდნენ; ახლა კი თავიანთი მოხუცებულობის უკანასკნელ წლებს შესდგომიან! ცოცხალი ისტორია — აი, ვინ არიან ისინი!

როგორ შეიძლება ახალგაზრდამ წიგნით დაინუფოს ისტორია და არ შეეხოს ამ ისტორიის ცოცხალ მგრეხებს?!

გეკითხებით: გიტირიათ თუ არა ისტორიის გაკვეთილებზე, როცა ოცდათხუთმეტი წლის წინანდელ მოვლენებს სწავლობდით და ოცვენციმს, ლენინგრადის ბლოკადას, სტალინგრადს, ხატინს ახსენებდით? არა? აი, სწორედ ეს მაშფოთებს!

თქვენ კლასში გაცნობენ ციტატებს და გამოთვქვამებს ომზე, მაგრამ ყოველ ოჯახსაც ხომ აქვს ჯერ კიდევ დაუშუშაებელი ფოტოტელი არქივი — წერილები სანგრებიდან, ცეცხლის წინა ხაზიდან! მებრძოლები თვალებში უყურებენენ სიკვდილს და ისე წერდნენ ამ წერილებს. ზოგ მათგანს სისხლის ლაქები ამჩნევია. ბევრ დედასა და ცოლს მიუღია ისინი შვილის თუ ქმრის გმირულად დაღუპვის ცნობასთან ერთად...

ყოველ ოჯახს მოეპოვება უძვირფასესი რელიკვიები, რომლებითაც დიდების საგვარეულო მუზეუმები შეიძლება შექმნას. ეს არის დიდი სამამულო ომის ორდენები და მედლები, სანგრებში სიკვდილის წინადღით გადაღებული ფოტოსურათები, საველე ჩანთები, ტყვიით გახვრეტილი ჯარისკაცული პილოტურები, ჯარისკაცული მაზარები, რომლებსაც ჯერაც არ გაჰქრობიათ დენთის სუნი.

მე გეკითხებით: მიგაჩვთ თუ არა გაკვეთილებზე ეს წერილები და კითხულობთ თუ არა მათ ხმამაღლა? მიგაქვთ თუ არა გაკვეთილზე საოჯახო რელიკვიები, აღადგენთ თუ არა მათთან დაკავშირებულ მოვლენებს? გამოხატავთ თუ არა გაკვეთილებზე უდიდეს სიამაყეს თქვენი პაპების გამო? არა? მაშ, როგორღა ვიყო გულგამშვიდებული!

არა, მე ამას ვერ შევურიგდები! ვერ დავუშვებ, რომ ჩვენი საოჯახო დიდების მუზეუმის რელიკვიები — შენი პაპების ფოროტული წერილები და ორდენები მშვიდად ეწყოს უჯრაში, შენ კი ბებიაშენის წერილები წაიკითხოს. მერე სამხედრო ნაწილიდან მიღებული დეპეშაც გიჩვენოს.

მამაჩემს ალექსანდრე ერქვა. ის სტამბაში მუშაობდა. მიყვარდა მასთან სამსახურში მისვლა. ერთად ვსადილობდით ხოლმე სტამბის მუშათა სასადილოში. მისი მეგობრები მიცნობდნენ და მანებივრებდნენ. სტამბაში ვსწავლობდი, როგორ იბეჭდებოდა გაზეთები, წიგნები, ჟურნალები, ერთხელ მამა შინ სასწრაფოდ დაბრუნების მანქანით მოიყვანეს; მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა. თურმე, ხელის მტევანი უზარმაზარი დაზგის ქვეშ მოჰყოლია. მე მენახა ეს დაზგა: მასში გაზეთების ყალიბებს წნეხავდნენ. ერთიორი თვის შემდეგ სახვევები მოხსნეს და აღმოჩნდა, რომ მამა თითებს ვეღარ ხრიდა.

მამა მოხალისედ წავიდა ჯარში — იმდენი მოახერხა, რომ საექიმო კომისიას დაუმალა თავისი ხეიბრობა. რამდენიმე ხანს სამხედრო მომზადებას თბილისში გადიოდა, იმ სკოლის შენობაში, სადაც ადრე მე ვსწავლობდი, შემდეგ კი იქ ყაზარმა მოაწყეს. მე ყოველდღე პირველ საათზე ველოდებოდი, თავის ნაწილთან ერთად სკოლის შენობიდან რომ გამოვიდოდა და სადღაც მიემართებოდა. „მამა, მამიკო!“ — მივძახოდი და ვცდილობდი ჯარისკაცებისთვის ფეხი ამეყოლებინა. მამა იღიმებოდა, ხელს მიქნევდა და კოცნას მიგზავნიდა. „წადი, შვილო, დედაშენს და დაიკოს მიხედე, კარგად ისწავლე!“ — ერთხელ კი შუადღისას ყველა გაგვაოცა და სამუდამოდ გამოგვეშვიდობა. რამდენიმე თვის შემდეგ მისი ნაწილიდან დეპეშა მივიღეთ.

აი ახლა მეორე ბებიასთან, დედაჩემთან გგზავნი.

ბებიამ, როგორც იქნა, მოძებნა თავისი ძველი „პორტმანი“, მაგრამ სათვალე „დაკარგა“.

— უსათვალოდ ვერ წავიკითხავ! თვითონ წაიკითხე, ოღონდ ჩუმად!

სათვალე შენ მისსავე ჯიბეში აღმოაჩინე და ცოტა ხნის შემდეგ ბებია დაგთანხმდა:

— კარგი, წაგიკითხავ!..

ბებია წერილს კითხულობდა ნელა, ბორძიკით. იგივე სამკუთხა ბარათები, ჭიმიური ფანქრით დაწერილი, სიხარულისა და წუხილის აუარბელი დიდ-დიდი ლაქებით... ცოტა ხნის მერე ხმა აუკანკალდა, შემდეგ თვალებს მოსწყდა ცრემლის ნაკადი.

შენ დიდხანს ამშვიდებდი, ეალერსებოდი, კოცნიდი, მაგრამ მისი დამშვიდება არ იყო ადვილი... მერე შენ წამოიღე წერილები, დეპეშა და მათ შესწავლას შეუდექი.

და აი, მაშინ, როცა შენ ყველა წერილის შესწავლა დაამთავრე, გამოიკითხე ორდენების ამბები, წვრილად გამიძიე, ვინ და როგორები იყვნენ შენი პაპები, სწორედ ამის შემდეგ გკითხე:

— საშინელებაა, არა? ხედავ, რა ყოფილა ომი?..

მერე ჩვენ ბევრჯერ ვისაუბრეთ იმ ამბებზე და შევაჩნიე, როგორ სულ უფრო და უფრო გულისხმიერი და ყურადღებიანი რომ ხდებოდი ბებიების მიმართ. ისიც შევნიშნე, რომ შინ ხშირად მოგყავდა ამხანაგები, უჩვენებდი ორდენებსა და მედლებს, უკითხავდი წერილებს. ბებიებმა მოგანდეს ისინი, ჩაგაბარეს, რომ სამუდამოდ შეინახო.

ამ წერილებმა და ორდენებმა, ბებიების ამ მოუღოდნელმა ცრემლებმა და აფეთქებულმა ფარულმა წუხილმა, ამ ორმოცი წლის წინანდელმა ამბავმა შენში ყველაზე კეთილშობილური გრძნობები ააფორიაქა. პაპები, რომლებსაც შვილიშვილების ნახვა არ დასცალდათ, შენს ცხოვრებაში გამოვიდნენ როგორც კეთილი დამრიგებლები და აღმზრდელები. მამაჩემი, რომელსაც დღემდე არ შეუწყვეტია ჩემი აღზრდა და გზის მეკვლობა, თუმცა დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის და მეც დიდი ხანია მას ასაკით გავუსწარი, ახლაც მხარში ამომიდგა, რომ ადამიანის შექმნაში დამეხმაროს.

და რომ გაიყოლო თან შენი წინაპრების ხსოვნა, ჩვენ მოგიძღვენით ორი სახელოვანი პაპის ორი სახელი — ალექსანდრე და გივი.

თუ ბიჭები შეგეძინება, დაარქვი მათ ეს სახელები და კარგად გააგებინე ყველაფერი. მათ უნდა იცოდნენ, რა იყო ჩვენთვის ნამდვილი დიდი სამამულო ომი.

შალვა ამონაშვილი.

4 იანვარი

საქართველოს სსრ ულუმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისთვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

„სახალხო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეს“: სარჩიმელიძეს ალექსანდრე გიორგის ძეს — მხატვარს.

„სახალხო ხელოვნების დამსახურებული მხატვრისა“: გამგიას ვალერი ვლადიმერის ძეს — მხატვარს, გაჩეჩილაძეს რუსუდან ვახტანგის ასულს — მოქანდაკეს, გეგეშიძეს იური არკადის ძეს — მხატვარს, თოფურიძეს არჩილ ვალერიანის ძეს — მოქანდაკეს, ინაშვილს ხასან დურსუნის ძეს — მხატვარს, იუსტინსკაიას გენრიეტა ქრისტოფორეს ასულს — მხატვარს, კაკაბაძეს რევაზ აპოლონის ძეს — მხატვარს, კონდახაზოვს რობერტ აბგარის ძეს — მხატვარს, კოკოევს მიხეილ ილიას ძეს — მხატვარს, მელიქიშვილს ვაჟა ნიკოლოზის ძეს — მოქანდაკეს, მეძმარიაშვილს ნუგზარ გრიგოლის ძეს — მხატვარს, მილორავას გიორგი ევგენის ძეს — მხატვარს, მირზოევს გრიგოლ იოსების ძეს — მხატვარს, პატაშურს ილია ვასილის ძეს — მხატვარს, სამხარაძეს ზურაბ მიხეილის ძეს — მხატვარს, ქანდარიას ოთარ სიმონის ძეს — მხატვარს, ქველიძეს ლამარა ნიკოლოზის ასულს — მოქანდაკეს, ღლონტს გურამ ლავრენტის ძეს —მხატვარს, ჩაგელიშვილს ანზორ ტარასის ძეს — მხატვარს, ცინცაძეს სპარტაკ ზოთას ძეს — მხატვარს, წიტაიშვილს ასლან სოოს ძეს — მხატვარს, ჭეიშვილს ჯავა დავითის ძეს — მხატვარს, ჯაფარიძეს თენგიზ არჩილის ძეს — მხატვარს.

„საქართველოს სსრ ულუმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

ჯილდო შრომას აგვირგვინებს

ბეცნიერული და მხატვრული შემოქმედების ბედნიერი შეზავებით გამოირჩევა სერგი ჭილაიას და გიორგი ციციშვილის მოღვაწეობა. ამ თვალსაჩინო ქართველი ლიტერატურათმცოდნეების, კრიტიკოსების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მრავალმხრივი შრომა და ნიჭი დიდად დაფასეს პარტიამ და სახელმწიფომ. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის ისინი დაჯილდოდნენ სსრ კავშირის ორდენებით, რომელთა გადაცემა გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

გ. შ. ციციშვილს გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენი, ს. ე. ჭილაიას — ხალხთა მეგობრობის ორდენი. სიტყვის აღიარებულ ოსტატებთან ერთად სამშობლოს მაღალი ჯილდო — „საპატიო ნიშნის“ ორდენი — იმავე დღეს გადაეცა აგრეთვე თბილისის კომპლექსური დაპროექტებისა და ძიების სამეურნეოთნგარიშიანი განყოფილების უფროსს მ. ზ. ქუმარიტაშვილს. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფეიერო მრეწველობის საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკს ეს ჯილდო მიენიჭა საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით და რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სიგელებით აღინიშნა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, მუსიკოსების, მსახიობების, სპორტსმენების დიდი ჯგუფის ნაგრძელი ნაყოფიერი საქმიანობა. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრს გადაეცა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომელიც მას მიენიჭა მნიშვნელოვანი წვლილისთვის სსრ კავშირის მოძმე ხალხთა სოციალისტური კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და დაახლოების საქმეში, საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების აქტიური პროპაგანდისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ მწერლები ს. ე. ჭილაია, გ. შ. ციციშვილი, პარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. აზიროვი, თბილისის მინიატურების სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი თ. ვ. ჩანტლაძე და სხვები, რომლებმაც დიდი მადლობა გადაიხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, დამსწრეთ აღუთქვეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ახალ წარმატებებს მიაღწიონ შრომასა და შემოქმედებაში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ორდენებისა და სიგელების გადაცემის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა და დიდი პირადი ბედნიერება, ახალი წარმატებანი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად.

ჯილდოების გადაცემას დაესწრო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისთვის მიენიჭათ საპატიო წოდება:

„სახალხო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა“: სარჩიმელიძეს ალექსანდრე გიორგის ძეს — მხატვარს.

„სახალხო ხელოვნების დამსახურებული მხატვრისა“: გამგიას ვალერი ვლადიმერის ძეს — მხატვარს, გაჩეჩილაძეს რუსუდან ვახტანგის ასულს — მოქანდაკეს, გეგეშიძეს იური არკადის ძეს — მხატვარს, თოფურიძეს არჩილ ვალერიანის ძეს — მოქანდაკეს, ინაშვილს ხასან დურსუნის ძეს — მხატვარს, იუსტინსკაიას გენრიეტა ქრისტოფორეს ასულს — მხატვარს, კაკაბაძეს რევაზ აპოლონის ძეს — მხატვარს, კონდახაზოვს რობერტ აბგარის ძეს — მხატვარს, კოკოევს მიხეილ ილიას ძეს — მხატვარს, მელიქიშვილს ვაჟა ნიკოლოზის ძეს — მოქანდაკეს, მეძმარიაშვილს ნუგზარ გრიგოლის ძეს — მხატვარს, მილორავას გიორგი ევგენის ძეს — მხატვარს, მირზოევს გრიგოლ იოსების ძეს — მხატვარს, პატაშურს ილია ვასილის ძეს — მხატვარს, სამხარაძეს ზურაბ მიხეილის ძეს — მხატვარს, ქანდარიას ოთარ სიმონის ძეს — მხატვარს, ქველიძეს ლამარა ნიკოლოზის ასულს — მოქანდაკეს, ღლონტს გურამ ლავრენტის ძეს —მხატვარს, ჩაგელიშვილს ანზორ ტარასის ძეს — მხატვარს, ცინცაძეს სპარტაკ ზოთას ძეს — მხატვარს, წიტაიშვილს ასლან სოოს ძეს — მხატვარს, ჭეიშვილს ჯავა დავითის ძეს — მხატვარს, ჯაფარიძეს თენგიზ არჩილის ძეს — მხატვარს.

4 იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით

ᲓᲘᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ

სახელოვანი გზა

დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პარტიული მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გერასიმე ფირცხალავას.



მრავალმხრივი და შინაარსიანია მისი ცხოვრების გზა. დაიბადა 1912 წელს ფულეკაძის (იმდროინდელი ხონის) რაიონის სოფელ მათხოჯში. იგი სრულიად ახალგაზრდა ემბება ცხოვრების ფერხულში. ჯერ მასწავლებლად იწყებს მუშაობას, შემდეგ გადაკ-

„კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილედ. შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეა. 1953-1955 წლებში გ. ფირცხალავა სწავლას განაგრძობს მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში და იქვე იცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად; 1955 წელს ჩამოდის საქართველოში და ინიშნება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად. 1957 წელს ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორია. ამ თანამდებობაზე მან 1966 წლამდე იმუშავა. შემდეგ გაგზავნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მუშაობს დღემდე სკკპ ისტორიის კათედრის გამგედ.

გ. ფირცხალავამ ცხოვრებისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოვდება მისი მეცნიერული კვლევის დიაპაზონი. მისი მუშაობა სამი მთავარი მიმართ-

თულებით გამოიკვეთა: ლენინის თეორიული მემკვიდრეობის გაშუქება, სკკპ ისტორიის პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები და საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობის აქტუალური პრობლემები. ამ თემების დამუშავებაში კათედრის წევრებთან ერთად გ. ფირცხალავამ დიდი წვლილი შეიტანა, მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი ათეული მონოგრაფიის, კრებულის, სამეცნიერო ბროშურისა და სტატიის გამოქვეყნება. გ. ფირცხალავა 82 მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის 5 მონოგრაფიული ხასიათისაა. მონოგრაფიული ნაშრომისათვის „საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის (1952-1965 წ. წ.)“ გ. ფირცხალავას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

პროფესორი გ. ფირცხალავა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდისათვის. იგი არის სკკპ ისტორიის იმ სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა არის მრავალი სხვა სამეცნიერო საბჭოს და მუდმივმოქმედი სამეცნიერო კომისიების წევრი. პროფესორი გ. ფირცხალავა სანიმუშო პედაგოგი, სტუდენტი ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი და დამრიგებელია.

მრავალმხრივია მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. ამჟამად იგი ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობისა და სისტორიო საზოგადოების გამგეობის წევრია.

თავმდაბლობა, მოკრძალებულობა და გულისხმიერება, პრინციპულობა და მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი — ასეთია მისი, როგორც ხელმძღვანელისა და მოქალაქის, დიდი ადამიანური თვისებები.

პროფესორ გ. ს. ფირცხალავას ღვაწლი ჯეროვნად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია სამი „სპატიო ნიშნის“ ორდენით. მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, მინიჭებული აქვს „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ წოდება. ამას წინათ საქართველოს საისტორიო საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სახელმოხვეჭილ მეცნიერს.

პროფესორი გ. ფირცხალავა კვლავ მხნედ და დაუღალავად, შემართებით განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გ. გამსახურდია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ა. ებგრალიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
დ. კალანდაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ბოლო: ინ სპეციალი

პროტოტიპი, ჰიპოთეზა, ფაქტი

ახალი რეკორდი

ინგლისი. როგორც პრესა იტყობინება, „ა 310“ თვითმფრინავმა დაუჯდომლად გადაფრენის რეკორდი დაამყარა: 8 საათსა და 40 წუთში ხომალდმა კუვეიტიდან სინგაპურამდე 6600 კილომეტრი გაიარა. ლაინერის დატვირთვა 210 მგზავრის ტოლფასი იყო. დიახ-ჯა 40 ტონა საწვავი.

აპარატი სურდოს წინააღმდეგ

საფრანგეთი. პროფესორმა ა. ლეოფმა შექმნა სურდოს სამკურნალო აპარატი „რინოთერმი“, რომელიც თერმოთერაპიის მეთოდს ემყარება.

ავადმყოფს ცხვირში უბერავენ ორჯერ გამოხდილი წყლით გაჯერებულ ცელსიუსით 43 ტემპერატურის ჰაერს, სეანსი 30 წუთამდე გრძელდება და მას 2-3 საათის შემდეგ იმეორებენ.

150 პაციენტიდან 12 პროცენტი მკურნალობის კურსის ჩატარების პირველსავე დღეს გამოჯანმრთელდა. წარუმატებლობის 28 პროცენტს კი პროფესორი ლეოფი ბაქტერიულ ინფექციებს მიაწერს.

ხელოვნური ყური

შვეიცია. გეტებორგის ერთ-ერთ კლინიკაში შექმნეს ყურის ნიჟარის პროთეზი, რომელიც 15 პაციენტზე გამოიცადა. პროთეზი სილიკონორგანული ფისისაგან არის დამზადებული და ადამიანის ყურის ზუსტ ასლს წარმოადგენს. ხელოვნურ ყურს საფეთქლის ძვალზე ტიტანის შემაერთებლებით ამაგრებენ.

ასპირინი და გულის შეტევები

აშშ. დაახლოებით 30 წლის წინათ ცნობილი გახდა, რომ ასპირინი გულის შეტევებს შველის. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ასპირინი, როგორც ჩანს, ხელს უშლის გულის შეტევების გამომწვევი თრომბების ჩამოყალიბებას.

ამერიკასა და კანადაში წარმოებული კვლევის შედეგების თანახმად, დღე-ღამეში მიღებული ასპირინის 4 ანი 50 პროცენტით ამცირებს იშემიური შეტევების საშიშროებას და სიკვდილს ინსულტისაგან.

ექსპერიმენტები გრძელდება.

გბერა და ციფრები

ჰოლანდია-იაპონია. ფირმა „ფილიპსი“ და იაპონიის რამდენიმე ფირმა იწყებენ ციფრიანი ელექტროფონების სერიულ გამოშვებას. ახალ მოდელებში ტრადიციული გრამფირფიტები შეიცვლება ფირფიტებით, რომლებზეც მუსიკა ციფრებით ჩაიწერება.

ერთდროულად იწყება უჩვეულო ფირფიტების მასობრივი გამოშვება, ფირფიტა პლასტმასის 120 მილიმეტრი დიამეტრის დისკოს წარმოადგენს. დაკვრის ხანგრძლივობა 2 საათია.

ჩვეულებრივი ნემსის ნაცვლად ამ ელექტროფონებში გამოყენებულია ლაზერი. ელექტროფონის ფასი 700-1000 დოლარი იქნება.

უძველესი ფინაპარი?

აშშ. ექსპედიციამ, რომელსაც დოქტორი დ. კლარკი ხელმძღვანელობს, ეთიოპიაში გათხრების დროს გაქვავებული ძვლების ფრაგმენტები აღმოაჩინა. მათი შესწავლისას რ. უოლტერმა (ტორონტოს უნივერსიტეტი) დაადგინა, რომ ადამიანის მსგავსი არსების ძვლების ასაკი 4 მილიონ 100.000 წელს აღწევს.

ეს 250 ათასი წლით აღემატება დღემდე ნაპოვნი ავსტრალოპითეკის ჩონჩხის ასაკს.

მზის ორეული?

აშშ. ეიმსის სახელობის სამეცნიერო-კვლევითს ცენტრში 1982 წლის ივნისში მოწვეულ სპეციალურ კონფერენციაზე დაასკვნეს, რომ ათიათასობით დაკვირვებათა მონაცემები დამაჯერებლად მოწმობს მზის სისტემის გარეთ დიდი ციური სხეულის არსებობას.

დ. ანდერსენი (მეთვალყურეთა ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი) ვარაუდობს, რომ შესაძლოა ეს მზის თანამგზავრია. ეს ჰიპოთეზა მართებული უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც აქამდე მიაჩნიათ, მზე ეული ვარსკვლავია, ვარსკვლავთა უმრავლესობა კი დაწყვილებულია.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, 1945 წლიდან სკკპ წევრი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ბორის ანდრიას ძე პირადოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კონტაქტები

საჭირო და სასარგებლო

ორმაგი ფასი აქვს იმ კაცის შრომას, რომლის ღვაწლიც შორდება რესპუბლიკის ფარგლებს და თავისებური წვლილი შეაქვს ხალხების დაახლოების საქმეში. ამის ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ამას წინათ „პრავდაში“ დაიბეჭდა ლ. ემირეევის ვრცელი წერილი „მეგობრის სახე“. იგი ეხებოდა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამედიცინო ტექნიკისა და მეთოდების დანერგვის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის რამაზ სურმანიძის მოღვაწეობას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მედიკოსთა საზოგადოების დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით ნაყოფიერი მუშაობისათვის საზოგადოებამ რ. სურმანიძე ახლახან დაჯილდოვა სამახსოვრო დიპლომით. ქართველი მედიკოსი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ეს ჯილდო დაიმსახურა.

— უცხოელ კოლეგებთან დაახლოებას, — ამბობს მინისტრი, — მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას, კონტაქტების გაღრმავებას თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებისა და ხალხებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ასეთი ღონისძიება მშვიდობის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

ბოლო ათ წელიწადში გამოცდილების გაზიარების მიზნით ოთხჯერ ვიყავით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. დავათვალიერეთ ბერლინისა და დრეზდენის რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება, ვუმასპინძლეთ აჭარაში სტუმრად ჩამოსულ გერმანელ კოლეგებს. ასევე კონტაქტებმა ბევრი რამ შეგვძინა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამედიცინო ტექნიკისა და მეთოდების დანერგვის საკავშირო საზოგადოება დიდად გვეხმარება აჭარის მედიკოსებს. სისტემატურად ვიღებთ ინფორმაციებს როგორც სამედიცინო, ასევე მსოფლიო მედიცინის უახლეს მიღწევებზე, ახალ პრეპარატებსა და დანადგარებზე, მეთოდოლოგიურ სიახლეებზე, ახალ გამოცემულ სამედიცინო ლიტერატურაზე. მიღებული ინფორმაციების განსაზოგადებლად ვაწყობთ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს. ჯილდო, რომელიც საზოგადოებისაგან ახლახან მივიღე, მავალებს უფრო აქტიურად ვითანამშრომლო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საკავშირო საზოგადოებაში.

რაკი ჯანმრთელობის დაცვის პერსპექტივებზე ვსაუბრობდით, ვთხოვეთ ორიოდე სიტყვით გაეცნო, რა მდგომარეობაა ამჟამად აჭარაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ. აი, რა გვიამბო მან:

— ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს შეემატა სამსართულიანი კორპუსი. დამთავრდა ბათუმის № 1 და ინფექციური საავადმყოფოების რეკონსტრუქცია, რესპუბლიკურ საავადმყოფოში შეიქმნა 70-საწოლიანი კარდიოლოგიური განყოფილება, სადაც დამონტაჟდა უახლესი აპარატურა, წლების განმავლობაში შეუფერებელ ბინაში იყო უროლოგიისა და ტრავმატოლოგიის განყოფილება, რაც ხელს უშლიდა ფართო მასშტაბის სამედიცინო სამსახურს, ეს პრობლემა წარმატებით გადაწყდა. ქირურგიისა და უროლოგიის განყოფილებები აღიჭურვა თანამედროვე აპარატურებით — „ეკრან-1“ ქირურგიული დანადგარით და ლაზერის აპარატურით. მკურნალობის ფორმები და მეთოდები გაუმჯობესდა ონკოლოგიის დისპანსერში, გაიხსნა რადიოლოგიის განყოფილება, ხოლო რესპუბლიკურ საავადმყოფოში ენდოსკოპიის კაბინეტი და ანესთეზიოლოგიის განყოფილება.

პრობლემებიც ბევრი გვაქვს. მთის რაიონებში არ გვყოფნის სპეციალისტები. ზოგიერთ სასოფლო საბჭოში არ გვყავს ექიმი, მაგრამ გამოსავალს იმით ვპოულობთ, რომ ასეთ ადგილებში ვგზავნით ექიმთა ბრიგადებს, ხოლო მძიმე ავადმყოფები გადმოგვყავს საავადმყოფოებში. ხულოსა და ზოგიერთ სხვა დასახლებულ პუნქტში სამედიცინო დაწესებულებანი ამორტიზებულ და შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული. მეთერთმეტე ხუთწლედში ახალი პერსპექტივები გვესახება. ჩვილ ბავშვთა სახლი და ქობულეთის სანეიროსადგური თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ახალ შენობაში გადავა. საფუძველი ჩაეყარა 600-საწოლიან რესპუბლიკურ საავადმყოფოს, გაისად დაიწყება ქალაქის ახალი პოლიკლინიკის მშენებლობა. ერთი სიტყვით, აჭარაში დიდი ყურადღება ეთმობა სამკურნალო დაწესებულებათა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასა და მოწყობას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

თანამშრომლობის კეთილი ნერგი

ამას წინათ თბილისში ჩატარდა VI საკავშირო კონფერენცია, რომელიც მათემატიკური ლოგიკის პრობლემებს მიეძღვნა. კონფერენცია მოაწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა და თბილისის უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტმა მოსკოვისა და ლენინგრადის რამდენიმე ავტორიტეტულ სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მათემატიკური ლოგიკის 300-მდე სპეციალისტი ესტუმრა თბილისს. მრავალფეროვანი იყო მათ მიერ წარმოდგენილ მოხსენებათა თემატიკა: მოდელთა თეორია, ალგორითმთა თეორია, ფორმალურ სისტემათა თეორია, არაკლასიკური ლოგიკის საკითხები...

მათემატიკური ლოგიკა, როგორც ზოგჯერ მეტამათემატიკასაც უწოდებენ, თანამედროვე მათემატიკის დამოუკიდებელ დარგად მე-19, მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა. მარტივად თუ ვიტყვით, იგი მათემატიკურ დამტკიცებებს შეისწავლის. ამ დარგის კვლევის ობიექტებს გამონათქვამები (მსჯელობები) წარმოადგენს, რომლებზეც სრულდება ალგებრაში რიცხვებზე ოპერაციების ანალოგიური მოქმედებები. მათემატიკური ლოგიკა არსებითს გაგლენას ახდენს მეცნიერების სხვა დარგების განვითარებაზეც, რამეთუ ლოგიკური მსჯელობა და დამტკიცების ცნებით სარგებლობა ყველა მეცნიერულ დისციპლინაშია საჭირო.

მათემატიკური ლოგიკის საბჭოური სკოლა მთელ მსოფლიოშია სახელმოხვეჭილი. აღსანიშნავია, რომ ამ დარგის საუკეთესო ნაშრომებშია უკანასკნელ ოთხ სამჯერ დაამსახურა ლენინური პრემია.

საქართველოში პიონერული გამოკვლევები მათემატიკურ ლოგიკაში ჯერ კიდევ 30-იან წლებში შეასრულა თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა ლ. გოკიელმა.

ჩვენ შეეხვდით კონფერენციის ორ მონაწილეს. იური ერშოვი 26 წლისა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი იყო, 27 წლისა — პროფესორი, ხოლო 30 წლისა — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ამჟამად იგი ნოვოსიბირსკის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელია.

— მათემატიკურ ლოგიკაზე საუბარს იმით ვიწყებ ხოლმე, — მოგვითხრობს იური ერშოვი — რომ ამ დარგის განვითარება აუცილებელია მთელი მათემატიკის ჰარმონიული განვითარებისათვის. ამიტომაც თეორიული გამოკვლევების წილი აქ დიდია. ამასთანავე შეიმჩნევა მათემატიკური ლოგიკის კავშირის გაფართოება მეცნიერების ისეთ დარგებთან, რომლებიც უკვე ორიენტირებულია გამოყენებისათვის: პროგრამირებასთან, ხელოვნური ინტელექტის თეორიასთან, მათემატიკურ კიბერნეტიკასთან. კერძოდ, პროგრამირების სპეციალისტები ამბობენ, რომ ზოგიერთი პრობლემა, რომლებსაც ისინი აწყდებიან, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მათი და მათემატიკური ლოგიკის სპეციალისტთა ერთობლივი ძალ-ღონით.

ჩვენს დარგში კვლევის გეოგრაფია ერთობ ფართოა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წინ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენს ამჟამინდელ შეკრებას ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ბევრი ერის წარმომადგენელი დაესწრნენ. თბილისი პირველად აირჩიეს ასეთი მეცნიერული ფორუმის მოსაწყობად და თვით ეს ფაქტი მათემატიკურ ლოგიკაში თქვენთან წარმოებული კვლევის მაღალი დონის აღიარებად უნდა მივიჩნიოთ.

ვსარგებლობ შემთხვევით და, როგორც სპორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მადლობას ვუხდი თბილისელ ამხანაგებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ აქ გატარებული დღეები უაღრესად სასარგებლო და სამახსოვრო ყოფილიყო.

...ასან ტაიმანოვი მოსკოველი პირველკურსელი ასპირანტი იყო, როცა მოხალისედ წავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. მისი მეცნიერული ცხოვრება მხლოდ ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო და შაშხანით დამძიმებული ხელი კვლევისათვის მსუბუქი გახდა.

იმ დღეს კი თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში სტუდენტურ მერხზე ეჯდა საბრძოლო ორდენების ლენტით მკერდდამშვენებული ყაზახი აკადემიკოსი ასან ტაიმანოვი და დინჯად გვესაუბრებოდა:

— როცა აკადემიკოსი ვეკუა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი იყო, აკადემიკოსმა მალცევმა მისი ხელშეწყობით პირველად შემოიღო მათემატიკური ლოგიკის კურსი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში და ამ საგნის პროგრამაც შეადგინა. მალცევმა წამოჭრა ყაზახეთისათვის ალგებრასა და მათემატიკურ ლოგიკაში კადრების მომზადების საკითხი და პატივცემულმა ილიამ აქაც მხურვალედ დაუჭირა მხარი. ამ საქმის პრაქტიკული რეალიზაცია მათ მე დამაკისრეს. ახლა ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში, ალმა-ათისა და ყარაგანდის უნივერსიტეტებში ძლიერი ჯგუფებია ალგებრასა და მათემატიკურ ლოგიკაში. იქ ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის აღზრდილები — ვ. კარგაპოლოვის, ს. გონჩაროვის, ი. ერშოვის მოწაფეები მუშაობენ.

მიზეილ ლავრენტიევი, ილია ვეკუა, ანატოლი მალცევი დიუცხრომლად ზრუნავდნენ ეროვნულ კულტურათა განვითარებისათვის. ყოველთვის იჩენდნენ საჭირო ინიციატივას. ჩემს მოღვაწეობაში მუდამ ვცდილობ მათი იდეები განვავრცო, მათი ტრადიციები განვავრძო.

თბილისში პირველად როდი ვარ. ორჯერ მომიწია საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტობა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ქართველი მათემატიკოს-ლოგიკოსების ამ კვლევის შედეგებს, რომელსაც ისინი პროფესორ შალვა ფხაკაძის ხელმძღვანელობით ეწევიან.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ VI კონფერენციის თბილისში მოწყობა მეტ სტიმულს მისცემს ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს მათემატიკურ ლოგიკაში მუშაობისათვის.

თ. ებანოიძე.

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

დღეს ჩვენთან იშვიათად შეხვდებით მოქალაქეს, რომელსაც გულთან არ მიაჭერდეს ერისათვის ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა — გამრავლება. მაღალი ტრიბუნებიდანაც კი კომპეტენტურად ითქვა, რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობა ძალზე დამაფიქრებელია. ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ფიქრით გამსჭვალული არაერთი წერილი გამოქვეყნდა პრესაში, გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

ამ ღონისძიებათა კომპლექსის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო ახლახან ჭიათურაში მოწყობილი მეან-გინეკოლოგთა სარაიონთაშორისო კონფერენცია-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჭიათურის, ზესტაფონის, ტყიბულის, საჩხერის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების მეან-გინეკოლოგები და პედიატრები.

კინოთეატრ „მაღაროელის“ დარბაზში შეკრებილებმა საქმიანად იმსჯელეს მრავალშვილიანი დედების სამედიცინო მომსახურებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, გამრავლების ხელშემშლელ ფაქტორებზე, მომავალი მშობლის ჯანმრთელობაზე. აქვე ითქვა, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთები, რომლებიც ზედმეტად არ იწუხებენ თავს, შვილები რომ გაჩინონ. ასეთებთან კი აუცილებელია გამიზნული, დამაჯერებელი საუბარი, ახსნა-განმარტებანი.

მეორე დღეს ახალგაზრდულ კლუბ „სილაჟვარდეში“ შეიკრიბნენ მრავალშვილიანი დედები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მრავალშვილიან დედებს რჩევა-დარიგება მისცა და შეკითხვებზე პასუხი გასცა კ. ჩაჩავამ საჭელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა პ. კინტრაიამ.

მონაწილეთა სამახსოვროში ვკითხულობთ: „ოჯახს დიდი როლი აკისრია მოზარდი თაობის აღზრდაში, თუ აქ დღენიადაგ ზრუნავენ ბავშვის აღზრდაზე, შედეგიც ყოველთვის სასიხარულოა. მისაბაძი მაგალითი მოზარდისათვის მშობლები არიან. ამიტომ მათ საკმაგებო ყურადღება უნდა დაუთმონ საკუთარ კეკვას. საუკეთესო მოქალაქე იმ ოჯახში იზრდება, სადაც შრომა უყვართ, პატარაობიდანვე აჩვევენ ბავშვს შრომას და არ ანებივრებენ.

გახსოვდეთ, რომ თქვენი შვილის მომავალი თქვენზეა დამოკიდებული და ეცადეთ ეს მომავალი ისეთი იყოს, თქვენც გაიხაროთ, თქვენმა შვილებმაც და საზოგადოებამაც“.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. გეგეიამ, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა ც. დიდიამ, ნ. ჯიქიამ, მ. ბაქრაძემ, დ. სანიკიძემ, ნ. შარიამ, ნ. ყორეულიანმა მიიღეს პაციენტები, დაუდგინეს დიაგნოზი, გააცნეს ზოგიერთი დაავადების თავისებურება, გამართეს კონსულტაციები.

მეან-გინეკოლოგთა სარაიონთაშორისო კონფერენცია-სემინარის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ამ სასარგებლო საქმის ინიციატორებს.

ჩ. მამისეიშვილი.

ახალგაზრდული სანარმო

თბილისის „ელვას“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდები შემართებით შრომობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფი დანერგვა უშუალოდ ეხება საწარმოს კოლექტივს.

ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ქარხანაში მუშაობს 22 პირველადს ორგანიზაციაში გაერთიანებული 1200 კომკავშირელი. ამიტომ, საწარმოს სამართლიანად უწოდებენ ახალგაზრდულს. ქარხნის პროდუქციამ ფართო პოპულარობა მოიპოვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მმართველი-გამომთვლელი მანქანების თბილისური კომპლექსები ავტომატურს ხდიან ტექნოლოგიური პროცესების მართვას როგორც ცალკეულ საწარმოებში, ისე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. ისინი წარმატებით მუშაობენ ზაპოროჟიეს, ბელოიარსკის, კოლიმა და სხვა ატომურ ელექტრონულ-ბირთვულ ქვეყნის მთელ რიგ მძლავრ მიდროელექტროსადგურებში. ახალგაზრდა პროფესიონალებმა ინარჩუნეს წინანდელ წინააღმდეგ, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. მათ იკისრეს შეფობა № 52 და 128 საშუალო სკოლების უფროსი კლასებისადმი.

სურათებზე: № 3 საამყოფო საამქროს ელექტრომემონტაჟე ემზარ ბანეთიშვილი აწყობს გამომთვლელ კომპლექსს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურისათვის; საუსტრადო ჯოკალურ-ინტრუმენტული ანსამბლი „ელვა“ ვ. ბასილაშვილის ხელმძღვანელობით ამზადებს ახალ პროგრამას ახალგაზრდული საღამოსათვის.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოვენილსი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ჟურნალისტისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, აღგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-32.

ჟურნალების ახალი ნომრები

გამოვიდა ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი **„დროშა“ № 12.**

დიდ სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის 60 წლისთავს ეძღვნება ფილიპე მახარაძის სტატია „ლენინი, ოქტომბერი, საბჭოთა კავშირი“.

საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნებულია ედუარდ შევარდნაძის „სიტყვა გალაკტიონზე“.

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის სერგი ჟღენტიის დაბადების 70 წელთან დაკავშირებით ჟურნალი აქვეყნებს გურამ გვერდწითელის, ირაკლი აბაშიძის, ირინა ვაკელის, ხუტა ბერულავას მისალოც წერილებს.

გამოვიდა ჟურნალ **„საბჭოთა ხელოვნების“** მორიგი მე-12 ნომერი.

ჟურნალი იხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებით „საქართველოს მხატვართა X ყრილობას“. შემდეგ კი ბეჭდავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გურამ ენუქიძის სტატიას „დღევანდელობის, ხალხის დიადი მიზნების სამსახურში“.

ჟურნალში წაიკითხავთ გივი მაღულარიას, ნათელა ურუშაძის, ვასილ კიკნაძის, ნადეჟდა ალუტაშვილის და სხვათა მასალებს, გაეცნობით ალექსანდრე მიშარინის პიესას „ოთხ საფრანგეთს ურიის“ და კულტურული ცხოვრების ქრონიკას.

5 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მულტფილმები. 10.30 — „ჩემი კომკავშირული ახალგაზრდობა“. კონცერტი. 10.55 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.20 — „ცოლი“. ტელესპექტაკლი ა. პ. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით. 13.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.30 — გამოგვეხმაურეთ, მეგუკეებო! 17.15 — კონცერტი. 17.40 — ახალგაზრდათა მისამართ ბ ი. 17.55 — სასკოლო არდადეგების დღეებში. მრავალსერიანი მხატვრული ტელეფილმი „ალისფერი სამხრეები“. მესამე სერია. 19.00 — მეცნიერება და ცხოვრება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კარელიის ფილიალი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — პოკეისტთა საერთაშორისო შეხვედრა. „მინესოტა ნორდ სთარზი“ — სსრ კავშირის ნაკრები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ხელოვნების ფესტივალის „რუსული ზამთრის“ დასკვნითი კონცერტი. მეორე განყოფილება. დამთავრების შემდეგ — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „სათავეები“. 9.55 — მრავალსერიიანი მხატვრული ტელეფილმი „ისევ ანისკინი“. პირველი სერია. 11.00 — „სასწაული უსასწაულოდ“. 11.30 — „სალუტ, პიონერია!“ 12.20 — გერმანული ენა. 12.50 — მულტფილმი „კაპიტან ვრუნგელის თავგადასავალი“ 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 სერია. 13.30 — „ბიძია გილიაის ცხოვრება და წიგნები“. 14.25 — სასკოლო არდადეგების დღე